



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

კომპიუტერული მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

8 სექტემბერი 2022



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი -----მაგდა-----

გვარი -----ცინცაძე-----



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	კომპიუტერული მეცნიერება
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	VI
4	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
7	სწავლების ენა	ინგლისური
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	საქართველო, 0102, თბილისი, პაატა სააკაძის ქ. №1
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.08.2021; №838496
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	17.08.2021
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	17.08.2022
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.12.2025

¹ დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴ განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი⁶

1. პროგრამის მიზნები ინგლისურ და ქართულ ვარიანტში ჩასწორდეს და გახდეს იდენტური: ამოღებული იქნას ქართულენოვან ვარიანტში ზედმეტი სიტყვები, დაზუსტდეს ცოდნის დონე

⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



- (ღრმა თუ შედარებით ღრმა) , ინგლისურ ვარიანტში ცხადად განისაზღვროს თუ რომელი კვალიფიკაციის სტუდენტის მომზადებისკენაა მიმართული პროგრამა;
2. პროგრამის სწავლის შედეგები დაზუსტდეს კვალიფიკაციის შესაბამისი ტერმინოლოგიით და რელევანტური შრომის ბაზრის მოთხოვნებით;
 3. განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე და რელევანტური წინაპირობები ინგლისურ ენასთან და მათემატიკასთან მიმართებით;
 4. მოხდეს კომპიუტერული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგის - პროგრამირების ენების თეორიის საკითხების გათვალისწინება პროგრამაში;
 5. გასწორდეს კურსის „მონაცემთა ანალიზი“ შინაარსი კურსის მიზნების შესაბამისად, გახდეს სავალდებულო და წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსი „ალბათობა და სტატისტიკა“;
 6. კურსებში „ხელოვნური ინტელექტი“, „კომპიუტერის არქიტექტურა“, „დისკრეტული მათემატიკა“, „მონაცემთა ბაზების სისტემების შესავალი“, „დაპროგრამების საფუძვლები 1“, „დაპროგრამების საფუძვლები 2“, „ქსელის მუშაობის პრინციპები“, „ოპერაციული სისტემები“, „ფიზიკის საფუძვლები“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ისე, რომ შეესაბამებოდეს კურსის კრედიტების რაოდენობას და საკმარისი იყოს კურსში მოცემული თემის საფუძვლიანი განხილვისთვის;
 7. დაკორექტირდეს კურსის „IT პროექტის მართვა“ მიზანი, სწავლის შედეგები და განხილული საკითხები ისე, რომ შეიცავდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სპეციფიურ საკითხებს ან შეიცვალოს კურსის სახელი;
 8. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს წინაპირობები;
 9. გაიზარდოს პროგრამაში ჩართული დარგის მიმართულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული 9 რეკომენდაციიდან სრულად შესრულდა 6, ხოლო სამი შესრულდა ნაწილობრივ.

რჩევები⁸

1. დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ახალ მეთოდოლოგიაში, რომლის გამოყენებაც იგეგმება, სასურველია შეფასების ინდიკატორები ჩამოყალიბდეს და გადაჯგუფდეს თითოეული შედეგის შესაბამისად;

⁷ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)



2. სასურველია შესაფასებელი კურსების შეფასების ინდიკატორები შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს რომ მარტივი იყოს შეფასება;
3. სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შეესაბამოს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმებს;
4. სასურველია განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნული;
5. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს ალგებრის საკითხების სწავლება;
6. დაკორექტირდეს კურსი „დაპროგრამების საფუძვლები 1“ ისე, რომ შესაბამისი იყოს სტუდენტის პირველი სემესტრისთვის. ალგორითმებისა და მონაცემთა სტრუქტურების რთული საკითხების შესწავლა გადავიდეს შემდეგ კურსში;
7. გასწორდეს კურსის „დაპროგრამების საფუძვლები 2“ შინაარსი ისე, რომ შეესაბამებოდეს „დაპროგრამების საფუძვლებს“;
8. გასწორდეს კურსის „სამეცნიერო კომპუტინგი“ შინაარსი ისე, რომ შეესაბამებოდეს მისმიზნებს;
9. გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ყველა დარგობრივ კურსში;
10. კურსში „ფიზიკის საფუძვლები“ დაზუსტდეს პრეზენტაციის ტიპი;
11. ისეთ სასწავლო კურსებში, როგორცაა Software Engineering I და Software Engineering II, სასურველია შეფასების უფრო მრავალფეროვანი კრიტერიუმების გამოყენება;
12. საჭიროა პროგრამამ თითოეული კურსის ფარგლებში უზრუნველყოს საკონსულტაციო სერვისის განრიგის შემუშავება და დარწმუნდეს იმაში, რომ სტუდენტები შესაბამის მომსახურებას დროულად და ეფექტიანად იღებენ;
13. სასურველია სტუდენტებთან და სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრისას მოხდეს ოქმის სახით ინფორმაციის თავმოყრა, რომელიც გამოყენებული იქნება პროგრამის სამომავლო განვითარებისათვის;
14. სასურველია დამსაქმებელთა ჩართულობის გაძლიერება, რაც გულისხმობს რომ უფრო დეტალურად გაანალიზდეს გამოკითხვის შედეგებზე ან მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრებისას, მათი მხრიდან დაფიქსირებული მოსაზრებისა და დამოკიდებულებების კვლევის შედეგები, რაც გამოყენებული იქნება პროგრამის გაუმჯობესების ნაწილში;
15. სასურველია პროგრამის შემუშავებისას მოხდეს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა აქტიური ჩართულობა თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფთან ერთად;
16. სასურველია გარე ექსპერტთა შეფასებით უფრო მკაფიოდ ფიქსირდებოდეს შემფასებელთა რეკომენდაციები, რჩევები, მათი შეხედულება, რაც საშუალებას მისცემს უსდ-ს, რომ ექსპერტისმიერ გაკეთებულ დასკვნები, შეფასების შედეგები და რეკომენდაციები, გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.



საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

რჩევების უმრავლესობა არ იქნა გათვალისწინებული, თუმცა იგეგმება პროგრამისა და სასწავლო კურსების განხორციელების შედეგებზე დაკვირვება და ადმინისტრაციულ პროცესებთან დაკავშირებული რჩევების ეტაპობრივად გათვალისწინება
დამატებითი ინფორმაცია¹⁰

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება ¹³	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I ¹⁴	პროგრამის მიზნები ინგლისურ და ქართულ ვარიანტში ჩასწორდეს და გახდეს იდენტური: ამოღებული იქნას ქართულენოვან ვარიანტში ზედმეტი სიტყვები, დაზუსტდეს ცოდნის დონე (ღრმა თუ შედარებით ღრმა), ინგლისურ ვარიანტში ცხადად განისაზღვროს თუ რომელი კვალიფიკაციის სტუდენტის მომზადებისკენაა მიმართული პროგრამა.
შეფასება	რეკომენდაცია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: პროგრამის მეზნები გარკვეულწილად

⁹ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

¹⁰ საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹² სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³ კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	დაკორექტირდა თუმცა არ არის ამოღებული ზედმეტი სიტყვები ქართულენოვან ვარიანტში, ხოლო ინგლისურენოვანში ისევ გვაქვს ინტერდისციპლინარული განათლება, რომელიც ქართულ ვერსიაში არ გვხვდება. IT ჩანაცვლებულია CS-ით.
რჩევა ¹⁵ I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები დამათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია II ¹⁶	პროგრამის სწავლის შედეგები დაზუსტდეს კვალიფიკაციის შესაბამისი ტერმინოლოგიით და რელევანტური შრომის ბაზრის მოთხოვნებით.
შეფასება	რეკომენდაციის გათვალისწინებით პროგრამის სწავლის შედეგები დაკორექტირდა
რჩევა ¹⁷ I-IV	<ol style="list-style-type: none"> დაწესებულების მიერ შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ახალ მეთოდოლოგიაში, რომლის გამოყენებაც იგეგმება, სასურველია შეფასების ინდიკატორები ჩამოყალიბდეს და გადაჯგუფდეს თითოეული შედეგის შესაბამისად; სასურველია შესაფასებელი კურსების შეფასების ინდიკატორები შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს რომ მარტივი იყოს შეფასება; სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები შეესაბამოს სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმებს; სასურველია განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნული.
შეფასება	არ იქნა გათვალისწინებული
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁶ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁷ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია III ¹⁸	განისაზღვროს პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე და რელევანტური წინაპირობები ინგლისურ ენასთან და მათემატიკასთან მიმართებით.
შეფასება	რეკომენდაცია დაკმაყოფილდა განისაზღვრა მათემატიკის შიდა გამოცდის ჩაბარება. ნათლადაა წარმოდგენილი კანონმდებლობის ფარგლებში ინგლისური ენის B2 დონის შესაბამისობის მოთხოვნაც.
რჩევა ¹⁹	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია IV ²⁰	მოხდეს კომპიუტერული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგის - პროგრამირების ენების თეორიის საკითხების გათვალისწინება პროგრამაში.
შეფასება	რეკომენდაცია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: პროგრამას დაემატა შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსი „კომპილატორები“ არჩევით კურსად - შესაბამისად ის შეიძლება საერთოდ არ აირჩიოს სტუდენტმა და შესაბამისად დარჩეს იმ კომპეტენციის მიღმა რომელიც კომპიუტერული მეცნიერების სპეციალობის კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს.
რჩევა ²¹	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁰ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²¹ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია V ²²	გასწორდეს კურსის „მონაცემთა ანალიზი“ შინაარსი კურსის მიზნების შესაბამისად, გახდეს სავალდებულო და წინაპირობად განესაზღვროს სასწავლო კურსი „ალბათობა და სტატისტიკა“
შეფასება	რეკომენდაცია ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: მოხდა აღნიშნული კურსისათვის სახელის შეცვლა, შესაბამისად კურსი რომელიც მათემატიკურ აპარატს უნდა მოიცავდეს (რაც იყო ძირითადი იდეა რეკომენდაციის) მონაცემების ანალიზისათვის არ არის წარმოდგენილი პროგრამაში საერთოდ.
რჩევა ²³ V	5. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს ალგებრის საკითხების სწავლება
შეფასება	არ იქნა გათვალისწინებული
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის „მონაცემთა დამუშავება და ვიზუალიზაცია“ სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VI ²⁴	კურსებში „ხელოვნური ინტელექტი“, „კომპიუტერის არქიტექტურა“, „დისკრეტული მათემატიკა“, „მონაცემთა ბაზების სისტემების შესავალი“, „დაპროგრამების საფუძვლები 1“, „დაპროგრამების საფუძვლები 2“, „ქსელის მუშაობის პრინციპები“, „ოპერაციული სისტემები“, „ფიზიკის საფუძვლები“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ისე, რომ შეესაბამებოდეს კურსის კრედიტების რაოდენობას და საკმარისი იყოს კურსში მოცემული თემის საფუძვლიანი განხილვისთვის.
აღწერა	აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა მოხდა აღნიშნული კურსებისათვის საკონტაქტო საათების ზრდა საშუალოდ 6 საათის ოდენობით
რჩევა ²⁵ VI-VII	6. დაკორექტირდეს კურსი „დაპროგრამების საფუძვლები 1“ ისე, რომ შესაბამისი იყოს სტუდენტის პირველი სემესტრისთვის. ალგორითმებისა და მონაცემთა სტრუქტურების რთული საკითხების შესწავლა გადავიდეს შემდეგ კურსში; 7. გასწორდეს კურსის „დაპროგრამების საფუძვლები 2“ შინაარსი ისე, რომ შეესაბამებოდეს „დაპროგრამების საფუძვლებს“;

²² საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²³ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



აღწერა	არ იქნა გათვალისწინებული
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამული ცვლილებების შესახებ კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის საბჭოს ოქმი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VII ²⁶	დაკორექტირდეს კურსის „IT პროექტის მართვა“ მიზანი, სწავლის შედეგები და განხილული საკითხები ისე, რომ შეიცავდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სპეციფიურ საკითხებს ან შეიცვალოს კურსის სახელი.
აღწერა	აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა სასწავლო კურსის მიზანი, სწავლის შედეგები და თემატიკა შესაბამისად დაკორექტირდა.
რჩევა ²⁷ VIII	8. გასწორდეს კურსის „სამეცნიერო კომპუტინგი“ შინაარსი ისე, რომ შეესაბამებოდეს მის მიზნებს;
აღწერა	არ იქნა გათვალისწინებული
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • IT პროექტების მართვის“ სასწავლო კურსის სილაბუსი

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VIII ²⁸	რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს წინაპირობები
აღწერა	აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა და სასწავლო კურსებს განესაზღვრა საჭირო პრერეკვიზიტები.
რჩევა ²⁹ IX-X	9. გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ყველა დარგობრივ კურსში; 10. კურსში „ფიზიკის საფუძვლები“ დაზუსტდეს პრეზენტაციის ტიპი;
აღწერა	აღნიშნული რჩევები ნაწილობრივ გათვალისწინებული იქნა: ცხრა სასწავლო კურსში გაიზარდა საკონტაქტო საათები და „ფიზიკის საფუძვლებში“ დაზუსტდა პრეზენტაციის ტიპი.
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსი „მონაცემთა ბაზების სისტემების შესავალი“; • სილაბუსი „ოპერაციული სისტემები“; • სილაბუსი „პროგრამული პროდუქტის წარმოება II“;



	<ul style="list-style-type: none"> • სილაბუსი „მანქანური სწავლება“; • სილაბუსი „სისტემური ადმინისტრირება I“.
--	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.1. ადამიანური რესურსი
რეკომენდაცია IX ³⁴	გაიზარდოს პროგრამაში ჩართული დარგის მიმართულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა
აღწერა	აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა. პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობას დაემატა დარგის მიმართულების 2 ასოცირებული პროფესორი.
რჩევა ³⁵	-
აღწერა	-
მტკიცებულებ(ებ)ა	საგანმანათლებლო პროგრამა

თანდართული დოკუმენტაცია²⁴

ექსპერტის ხელმოწერა

²⁴ თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა